

ტექნიკური პირობები

ა) სპექტრით სარგებლობის სტანდარტული ტექნიკური პირობები ეფუძნება COMMISSION IMPLEMENTING DECISION (EU) 2020/667 ტექნიკურ დოკუმენტში მოყვანილ მახასიათებლებს 2100მჰც დიაპაზონში მომუშავე ქსელებისათვის:

ბ) ტექნიკური პირობები FDD საბაზო სადგურებისათვის:

- In-Block (ბლოკის შიგნით, რომლისთვისაც BEM¹ არის განსაზღვრული), Non-AAS² (შემდგომში პასიური) საანტენო სისტემებისათვის, საბაზო სადგურისათვის დასაშვებია EIRP³-ს მნიშვნელობა 65 დბმ/5 მჰც ანტენაზე.
- In-Block (ბლოკის შიგნით, რომლისთვისაც BEM არის განსაზღვრული), AAS⁴ (შემდგომში აქტიური) საანტენო სისტემებისათვის, საბაზო სადგურისათვის დასაშვებია TRP⁵-ს მნიშვნელობა 57 დბმ/5 მჰც - ფიჭაზე⁶.

ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე):

მაფორმირებელი ნიღბის გარეთ	non-AAS პასიური საანტენო სისტემების გამოყენებისას EIRP თითოეულ ანტენაზე	AAS აქტიური საანტენო სისტემების გამოყენებისას, მაქსიმალური TRP ⁷ თითოეულ ფიჭაზე
სიხშირეები, რომლებიც დაშორებულია 10 მჰც-ზე მეტით ბლოკის ზედა ან ქვედა საზღვრისაგან	9 დბმ/5 მჰც	1 დბმ/5 მჰც

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	non-AAS პასიური საანტენო სისტემების გამოყენებისას EIRP თითოეულ ანტენაზე	AAS აქტიური საანტენო სისტემების გამოყენებისას, მაქსიმალური TRP თითოეულ ფიჭაზე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	11 დბმ/5 მჰც	3 დბმ/5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	16.3 დბმ/5 მჰც	8 დბმ/5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	16.3 დბმ/5 მჰც	8 დბმ/5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	11 დბმ/5 მჰც	3 დბმ/5 მჰც

გ) FDD ტერმინალური სადგურებისათვის (აფლინკი): ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა 24 დბმ.

¹ BEM (Block Edge Mask) - ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბი

² Non-active antenna systems (non-AAS) ნიშნავს საბაზო სადგურს და ანტენის სისტემას, რომელსაც გააჩნია ერთი ან მეტი კონექტორი, რომლებიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე პასიური ანტენის ელემენტთან რადიოტალღების გამოსასხივებლად. ანტენის ელემენტებზე სიგნალების ამპლიტუდა და ფაზა მუდმივად არ რეგულირდება რადიო გარემოში ხანმოკლე ცვლილებებთან ერთად.

³ Equivalent Isotropic Radiated Power - ეკვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე

⁴ Active antenna systems (AAS) აქტიური ანტენის სისტემები (AAS) ნიშნავს საბაზო სადგურს და ანტენის სისტემას, სადაც ანტენის ელემენტებს შორის ამპლიტუდა და/ან ფაზა მუდმივად რეგულირდება, რის შედეგადაც ანტენის გასხივების დიაგრამა იცვლება რადიო გარემოში ხანმოკლე ცვლილებებთან ერთად.

⁵ TRP (Total Radiated Power) - ჯამურად გასხივებული სიმძლავრე

⁶ მრავალსექტორიანი ფიჭის შემთხვევაში, ფიჭაზე მოცემული სიმძლავრის მნიშვნელობა შეესაბამება სიმძლავრის მნიშვნელობას მის ერთ სექტორზე):

⁷ მრავალსექტორიანი საბაზო სადგურში AAS გამოსხივებული სიმძლავრის ლიმიტი ვრცელდება თითოეულ ცალკეულ სექტორზე.

დ) მოცემული აუქციონის ფარგლებში 2100 მჰვ დიაპაზონში ლიცენზიის მფლობელმა 2026 წლის 1 მარტამდე მოპოვებული სიხშირული რესურსი სრულად უნდა გამოიყენოს დანართ 3-ში („დაფარვის ვალდებულებებში მითითებული დასახლებული პუნქტების სია“ და შესაბამის SHP ფაილში შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში) მითითებულ დასახლებულ პუნქტებში, შემდეგი რაოდენობის საბაზო სადგურებზე: ქ. თბილისი 110 მაკრო სადგური, ხოლო დანარჩენ ზონებში 100 მაკრო სადგური. საბაზო სადგურები განთავსებული უნდა იყოს შენობის გაერეთ და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური 24 საათიანი ფუნქციონირება

ე) 25 მეტრით დამორებული საბაზო სადგურები ან მათი სექტორები ითვლება ერთ საბაზო სადგურად.